"დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
ბ. ტეფნაძე
14 2025
დადგენილება № 03/06

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

ძირითადი ასლი

1. სარჩევი

1. სარჩევი 2
2. ცვლილებები 4
2.1 ცვლილებების ისტორია 4
3. მოქმედი გვერდების სია 5
4. დოკუმენტაციის კონტროლი 6
4.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია 6
5. ძირითადი ნაწილი 7
მუხლი 1. ზოგადი დებულებები 7
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მისი შემადგენელი კომპონენტები და თავისებურებები 8
მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 8
მუხლი 3. უნივერსიტეტის ფარგლებში შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 8
მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შეფასების წესი 9
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი14
მუხლი 5. პროგრამის შემუშავებისა და მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი 14
მუხლი 6. პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები 15
მუხლი 7. სწავლის ხანგრძლივობა 16
მუხლი 8. პროფესიული დიპლომი 16
8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა 17
მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება 17
მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება 17
მუხლი 11. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა 18
9. განათლების აღიარების წესი 19
მუხლი 12. მობილობა და მიღებული განათლების აღიარება 19
მუხლი 13. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება . 19
მუხლი 14. ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები და ვადა 20
მუხლი 15. განცხადების წარდგენა 20
მუხლი 16. კომისიის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება 21

მუხლი 17. გადაწყვეტილების მიღება 22

მუხლი 18. ფორმალური განათლების აღიარების შედეგების განთავსება 22

10. ინტეგრირებული პროგრამების განხორციელებისა და შეფასების წესი 23

მუხლი 19. საფუძვლები: 23

მუხლი 20. ინტეგრირების მიზანი 23

მუხლი 21. ინტეგრირების მეთოდოლოგია და ინტეგრირებული ზოგადი მოდულები 23

მუხლი 22. პროგრამის განხორციელების თავისებურებები 23

11. ინტეგრირებულ პროგრამებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი. 24

მუხლი 23. რეგულირების სფერო 24

მუხლი 24. ტერმინთა განმარტება 24

მუხლი 25. დადასტურების მიზანი და შეფასების სისტემის მახასიათებლები 25

მუხლი 26. ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება 25

მუხლი 27. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება 26

მუხლი 28. დადასტურების კომისია 27

მუხლი 29. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება 27

12. დანართები 28

დანართი 1 28

დანართი 2. სტუდენტის შეფასების ფორმა 29

დანართი 3. კურიკულუმის ფორმა 31

2. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

2.1 ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	**ცვლილების საფუძველი**	**შეცვლილი გვერდები**	**თარიღი**	**ცვლილების ინიციატორი**

3. მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
-	1	0	ივლისი 2025					
1	2	0	ივლისი 2025					
1	3	0	ივლისი 2025					
2	4	0	ივლისი 2025					
3	5	0	ივლისი 2025					
4	6	0	ივლისი 2025					
5	7	0	ივლისი 2025					
6	8	0	ივლისი 2025					
6	9	0	ივლისი 2025					
6	10	0	ივლისი 2025					
6	11	0	ივლისი 2025					
6	12	0	ივლისი 2025					
6	13	0	ივლისი 2025					
7	14	0	ივლისი 2025					
7	15	0	ივლისი 2025					
7	16	0	ივლისი 2025					
8	17	0	ივლისი 2025					
8	18	0	ივლისი 2025					
9	19	0	ივლისი 2025					
9	20	0	ივლისი 2025					
9	21	0	ივლისი 2025					
9	22	0	ივლისი 2025					
10	23	0	ივლისი 2025					
11	24	0	ივლისი 2025					
11	25	0	ივლისი 2025					
11	26	0	ივლისი 2025					
11	27	0	ივლისი 2025					
12	28	0	ივლისი 2025					
12	29	0	ივლისი 2025					
12	30	0	ივლისი 2025					
12	31	0	ივლისი 2025					
12	32	0	ივლისი 2025					
12	33	0	ივლისი 2025					
12	34	0	ივლისი 2025					
12	35	0	ივლისი 2025					
12	36	0	ივლისი 2025					
12	37	0	ივლისი 2025					
12	38	0	ივლისი 2025					
12	39	0	ივლისი 2025					
12	40	0	ივლისი 2025					

4. დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

4.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

5. ძირითადი ნაწილი

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. ეს წესი მიზნად ისახავს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითების მოწესრიგებას.
2. უნივერსიტეტი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისას ეყრდნობა პროფესიულ განათლების სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას, წინამდებარე წესს, უნივერსიტეტის დებულებასა და უნივერსიტეტის სხვა შიდა სამართლებრივ აქტებს.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მისი შემადგენელი კომპონენტები და თავისებურებები

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. უნივერსიტეტში პროფესიული განათლება ინერგება „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით (შემდგომში „პროგრამა“).
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენლებთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს მმართველ საბჭოს.

მუხლი 3.უნივერსიტეტის ფარგლებში შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა გამოიხატება პროგრამის ცალკეული სასწავლო ან პრაქტიკული კურსით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობით.
2. პროგრამის მოცულობა დამოკიდებულია პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული კრედიტების მინიმალურ ოდენობაზე.
3. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში.
4. კრედიტების განაწილება პროგრამის კომპონენტებს შორის უნდა იძლეოდეს სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას, რაც დგინდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით.
5. პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკის კომპონენტებს.
6. პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:
   - 6.1. სალექციო მუშაობა;
   - 6.2. ჯგუფში მუშაობა;
   - 6.3. სასწავლო პრაქტიკა;
   - 6.4. საწარმოო პრაქტიკა;
   - 6.5. დისტანციური (ონლაინ) სწავლება.
7. სწავლების მეთოდოლოგია აისახება თითოეული პროგრამის სასწავლო კურსში ან/და მოდულში. შესაძლებელია პროფესიული მასწავლებლის გადაწყვეტილებით ამა თუ იმ დისციპლინის ხარისხიანად შესწავლის მიზნით შერჩეულ იქნას ამ მუხლით განსაზღვრული სწავლების მეთოდოლოგიისაგან განსხვავებული მეთოდი. რაც ასევე ფიქსირდება სასწავლო კურსში ან/და მოდულში.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შეფასების წესი

1. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან შეთანხმებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების შეფასება მოდულების სწავლებისას ხორციელდება განმსაზღვრელი შეფასებით. შესაძლოა პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ინდივიდუალურად გამოყენებულ იქნას განმავითარებელი შეფასებები, თუმცა ქულების მინიჭების გარეშე.

1.1. საინჟინრო ფაკულტეტის პროფესიულ/დარგობრივ თეორიულ მოდულებში შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოდულებში განსაზღვრული სწავლის შედეგების ერთიანად შეფასებას ფინალური ღია/დახურული ტესტირებით, რომელშიც პროფესიულმა სტუდენტმა რაოდენობრივად არანაკლებ 75%-ს დადებითად უნდა უპასუხოს, რომ კრედიტი მოპოვებულად ჩაეთვალოს. შეფასების სისტემა დამტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით და აგებულია შემდეგნაირად:

1.1.1. ყველა საბაზო ცოდნის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ტერმინი, რომელიც გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ) გამოცდა უნდა განხორციელდეს ტესტური და ესსეს ტიპის კითხვებით ამ დანართის მე-2 პუნქტის შესაბამისად. საგნის არმცოდნისთვის, არასწორი ალტერნატიული პასუხები უნდა ჩანდეს ერთნაირად სარწმუნო. ყველა ალტერნატიული პასუხი აშკარა კავშირში უნდა იყოს კითხვასთან, ანალოგიური ლექსიკით, გრამატიკული წყობით და წინადადების სიგრძით. რიცხვით კითხვებში მცდარი პასუხები უნდა შეესაბამებოდეს არასწორ მოქმედებებს, როგორიცაა, არასწორი კორექტირება და ერთეულების გადაყვანა. პასუხები არ უნდა იყოს ცხადად შემთხვევითი რიცხვები.

1.1.2. თითოეულ ტესტურ კითხვას უნდა ჰქონდეს სამი ალტერნატიული პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი და კანდიდატს ერთ კითხვაზე საშუალოდ უნდა მიეცეს 75 წამი.

1.1.3. ესსეს ტიპის ყოველი კითხვა საჭიროებს წერილობით პასუხს და კანდიდატს უნდა მიეცეს 20 წუთი თითოეულ ასეთ კითხვაზე.

1.1.4. შესაბამისი ესსეს ტიპის კითხვები უნდა მომზადდეს და შეფასდეს სასწავლო პროგრამის გამოყენებით, რომელიც მოცემულია №1 დანართის მოდულებით - 7A, 7B, 9A, 9B და 10.

1.1.5. თითოეულ ესსეს ტიპის კითხვას უნდა ჰქონდეს სტანდარტული პასუხი (ნიმუში), რომელიც ასევე მოიცავს ნებისმიერ ცნობილ ალტერნატიულ პასუხებს, რომელიც შეიძლება შესაბამისი იყოს სხვა ქვეჯგუფისთვის.

1.1.6. სტანდარტული პასუხი უნდა დაიყოს მნიშვნელოვან საკითხებად.

1.1.7. თითოეულ მოდულზე და ქვემოდულზე ტესტური გამოცდის გამსვლელი ქულა არის 75%.

1.1.8. ესსეს ტიპის თითოეულ საკითხზე გამსვლელი ქულა შეადგენს 75%-ს, სადაც კანდიდატის პასუხი უნდა მოიცავდეს კითხვაში დასმული საკვანძო საკითხების 75%-ს და არანაირი არსებითი შეცდომა არ უნდა იყოს რომელიმე მოთხოვნილ საკვანძო საკითხთან მიმართებით.

1.1.9. ტესტური კითხვების ნაწილში ან ესსეს ტიპის კითხვების ნაწილში გამოცდის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, საჭიროა მხოლოდ ამ შესაბამისი ნაწილის ხელმეორედ ჩაბარება.

1.1.10. კანდიდატის მიერ გამოცდის ჩაბარებისას არ გამოიყენება საჯარიმო ქულების სისტემა.

1.1.11. მოდულის წარუმატებლად ჩაბარების შემთხვევაში, გამოცდის გადაბარება შეიძლება არანაკლებ 90 დღის შემდეგ. გამოცდის გადაბარება შეიძლება 30 დღის შემდეგ, თუ გადამზადებას ახორციელებს სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული ტექნიკური მომსახურების სასწავლო ორგანიზაცია კონკრეტული მოდულის წარუმატებლად ჩაბარების გათვალისწინებით.

1.1.12. ამ წესის მე-7 მუხლით მოთხოვნილი დროის ინტერვალი შეეხება გამოცდის თითოეულ მოდულს, გარდა იმ საგამოცდო მოდულებისა, რომელშიც გამოცდები ჩაბარებულია სხვა კატეგორიის ლიცენზიის ფარგლებში და გაცემულია მოწმობა.

1.1.13. თითოეულ მოდულში გამოცდის ჩაბარების თანამიმდევრული მცდელობების მაქსიმალური რიცხვია სამი. გამოცდის ჩაბარების შემდეგი სამი მცდელობა დასაშვებია 1-წლიანი ინტერვალით.

1.1.14. კანდიდატმა წერილობით უნდა დაუდასტუროს ტექნიკური მომსახურების სასწავლო ორგანიზაციას ან სააგენტოს, რომელსაც მიმართავს გამოცდებისთვის, ბოლო წლის განმავლობაში გამოცდის ჩაბარების მცდელობების რაოდენობა, თარიღები და ორგანიზაცია, სადაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ მცდელობას. ტექნიკური მომსახურების სასწავლო ორგანიზაცია ან სააგენტო ვალდებულია, შეამოწმოს მცდელობების რაოდენობა შესაბამისი დროის ფარგლებში.

1.2. საფრენოსნო ფაკულტეტის პროფესიულ/დარგობრივ თეორიულ მოდულებში შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოდულებში განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასებას შუალედური და ფინალური დახურული ტესტირებით. შეფასების სისტემა შეთანხმებულია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან და აგებულია შემდეგნაირად:

1.2.1. თეორიული გამოცდები ტარდება ტესტირების მეთოდით (სავარაუდო პასუხების ჩვენებით). თითოეულ ტესტურ კითხვას უნდა ჰქონდეს ოთხი ალტერნატიული პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთი იქნება სწორი. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ პროფესიულმა სტუდენტმა სწორად უპასუხა კითხვების 75%;

1.2.2. თუ პროფესიულმა სტუდენტმა პროფესიულ/დარგობრივ თეორიული მოდულის გამოცდა ვერ ჩააბარა, განმეორებით გამოცდაზე დაიშვება ტესტირების ჩატარებიდან არა უმცირეს ორი კვირისა;

1.2.3. თითოეული პროფესიულ/დარგობრივ თეორიული მოდულის ფინალური გამოცდის ხანგრძლივობა ინდივიდუალურია და დადგენილია ევროპის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მარეგულირებელი დოკუმენტაციით.

პრაქტიკული კომპონენტების შეფასების მიზნით გამოყენებული შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც არ საჭიროებს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან შეთანხმებას პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შეფასების სისტემა.

2.1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

1) განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით და ამგვარი შეფასების ჩატარების რაოდენობა და შედეგების ასახვა დამოკიდებულია მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლის გადაწყვეტილებაზე.

2) განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურება) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი არ დადასტურდა.

2.2. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი შეფასება. განმეორებითი შეფასება, შესაბამის მასწავლებელთან შეთანხმებით ინიშნება სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე 10 დღის ვადაში.

2.3. განმავითარებელი შეფასების ქულებით შეფასების შემთხვევაში გათვალისწინებულია 5 სახის დადებითი და 2 სახის უარყოფითი შეფასება.

დადებითი შეფასებებია:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61 – 70%;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51- 60%;

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%,

(F) ჩაიჭრა მაქსიმალური შეფასების 0-40%

უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა განმავითარებელი კომენტარი დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

2.4. მოდულის განმახორციელებელი შეფასებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე ფაკულტეტის მენეჯერს შესათანხმებლად წარუდგენს მოდულის შეფასების ფორმას/ინსტრუმენტს. (დანართი 4) შეფასების ინსტრუმენტში სავალდებულოდ მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

2.4.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

2.4.2. მოდულის დასახელება და კოდი;

2.4.3. შეფასების თარიღი;

2.4.4. შეფასების ხანგრძლივობა. თუ შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ერთზე მეტი შეფასების მიმართულებას, შეფასების ხანგრძლივობა განისაზღვრება თითოეული მიმართულებისათვის ცალ-ცალკე;

2.4.5. შესაფასებელი პირის სახელი, გვარი;

2.4.6. მოდულის განმახორციელებელი პირის/შემფასებლის სახელი, გვარი;
2.4.7. სწავლის შედეგის ნომერი და დასახელება. თუ მოცემული შეფასების ინსტრუმენტით ფასდება სწავლის შედეგის კონკრეტული კრიტერიუმი, მიეთითება ის კრიტერიუმიც;
2.4.8. შეფასების მიმართულება;
2.4.9. შეფასების მტკიცებულების სახე;
2.4.10. შეფასებისათვის საჭირო რესურსი;
2.4.11. შეფასების/დავალების აღწერა/ინსტრუქცია;
2.4.12. სწავლის შედეგის დადასტურების პირობები;
2.4.13. განმეორებითი შეფასების და მიღებული შეფასების გასაჩივრების პირობები.
2.4.14. შემფასებლის და პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა;
2.4.15. ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის შესახებ;

2.5. სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების მიზნით დასაშვებია მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება.

2.5.1. ვალიდაციას ახორციელებს ვალიდაციის ჯგუფი, რომელშიც შედის არანაკლებ სამი წევრი: ფაკულტეტის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი სხვა მასწავლებელი, ან/და შესაბამისი კომპეტენციის მოწვეული პირი. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაში არ მონაწილეობს ის პირი, რომელიც ჩართული იყო აღნიშნული ინსტრუმენტის შემუშავებაში.

2.5.2. ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტებში ცვლილება შესაძლებელია: ა) მოდულის/სწავლის შედეგის განმახორციელებელი პირის/შემფასებლის ინიციატივით; ბ) პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით; გ) პროგრამაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში; დ) ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგების საფუძველზე.

2.5.3. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში გამოიყენება ვალიდაციის ფორმა (დანართი 5)

2.6. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია:

2.6.1. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექნიზმი არის შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-4 დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან.

2.6.2. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება. კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: • შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; • პროცესის ვერიფიკაცია; • მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

2.6.3. ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, არსებული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით (მაგალითად: დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლი; გამოცდილი პროფესიული განათლების

მასწავლებელი; პრაქტიკული დავალებების სიმრავლე; ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა; პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება).

2.6.4. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია (შემდგომში - ვერიფიკაცია) ხორციელდება შეფასების სისტემის დახვეწა/სრულყოფის, პროგრამების განვითარების, პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების გაუმჯობესების, შეფასების ინსტრუმენტის მომზადება/გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნებისთვის.

2.6.5. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოიცავს ა) შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებას; ბ) შეფასების პროცესის შემოწმებას; გ) შეფასების შედეგად მოგროვებული მტკიცებულების შემოწმებას.

2.6.6. ვერიფიკაცია გულისხმობს შეფასების სისტემის შემდეგ კრიტერიუმებთან თავსებადობის დადგენას: სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2.6.7. ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წარდგინებით. (ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით შემადგენლობაში არ შედის შესამოწმებელი შეფასების ინსტრუმენტის ავტორი ან/და ინსტრუმენტით მოსარგებლე შემფასებელი).

2.6.8. ჯგუფი შედგება კონკრეტული შემთხვევისთვის შერჩეული მინიმუმ ორი პირისგან, რომელთაგან ერთი აუცილებლად დარგის წარმომადგენელია, საჭიროების შემთხვევაში მოწვეული წევრი.

2.6.9. ჯგუფის მიერ შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების შემოწმება წარიმართება განსაზღვრულ პერიოდში, სამიზნე პროგრამის/მოდულის/განმახორციელებლის მითითებით, წინასწარ შემუშავებული ფორმის საშუალებით. (დანართი.6)

2.6.10. ვერიფიკაციის მიზნებისთვის გამოყენებული ჩეკლისტები იწარმოება და ინახება ელექტრონულად ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან.

2.6.11. ვერიფიკაციის პროცესის შედეგად ეტაპობრივად მოგროვებული ინფორმაცია აისახება ვერიფიკაციის ანგარიშებში. ვერიფიკაციის ფარგლებში მოგროვებული/მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის დაინტერესებულ მხარეს/განმახორციელებელს უკუკავშირს.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი

მუხლი 5. პროგრამის შემუშავებისა და მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის (პროგრამის ხელმძღვანელის) მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შესაბამისი ფაკულტეტის ჩართულობით. აღნიშნული პირი ატარებს შრომის ბაზრის კვლევას, შეიმუშავებს შესაბამის კონცეფციას, ეცნობა შესაბამის პროფესიულ სტანდარტს და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს და დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობით განიხილავს ახალი პროგრამის შემუშავების აუცილებლობის საკითხს, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დაიწყება მუშაობა შესაბამისი პროგრამისა და სასწავლო კურსის ან/და მოდულების მოსამზადებლად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში შესაძლოა მონაწილეობდნენ დამსაქმებლები, დარგის მოწვეული სპეციალისტები, კურსდამთავრებულები და საჭიროების შემთხვევაში სხვა დაინტერესებული პირები.
4. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსი ან/და მოდულები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობით განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას. განხილვის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება მმართველ საბჭოს, რომელიც ამტკიცებს მას, ან შენიშვნებით უკან უბრუნებს პროგრამის ხელმძღვანელს და განესაზღვრება ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. რექტორი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და თანდართულ სასწავლო კურსს ან/და მოდულებს ამტკიცებს ბრძანებით. რექტორს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ხელმოწერილი ოქმი.
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში უნივერსიტეტს შეუძლია დაამატოს არჩევითი სტატუსის მოდულები, რომელთა კრედიტების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამავე პროფესიული პროგრამის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის 20%-ს. ზოგადი მოდულები და სავალდებულო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და პროგრამიდან მათი ამოღების ან დამატების უფლება უნივერსიტეტს არ გააჩნია.
6. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში უნივერსიტეტს დამოუკიდებლად ცვლილების შეტანა შეუძლია მხოლოდ მოდულის დამხმარე ჩანაწერებში. სხვა შემთხვევებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით.
7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ხასიათის ცვლილება, რომელიც გამოიწვევს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილებას, უნდა მოხდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წინადადების ინიცირების საფუძველზე.

8. პროგრამის გაუქმება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე, მმართველი საბჭოს გამოცემის გზით, რომელშიც დეტალურად აისახება ამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების შემდგომი სამართალ ურთიერთობა უნივერსიტეტთან.

მუხლი 6. პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. უნივერსიტეტი იმ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, რომელზეც უკვე მიღებულია პროფესიული სტუდენტები, უზრუნველყოფს აღნიშნული პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით.
2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს უნივერსიტეტის ამავე ან მსგავსი მიმართულების სხვა პროგრამაზე, სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი პროგრამის არჩევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
3. პროფესიული პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობების დადგენას არსებული პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის გატარების შესახებ.
4. შეცვლილი პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
5. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მსგავსი სახის პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმების საფუძველზე, პროფესიული სტუდენტების აღნიშნულ დაწესებულებაში მობილობის ხელშეწყობას.
6. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, თავსებად, მომიჯნავე/მსგავს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველ პროფესიულ სტუდენტს კრედიტები უღიარდება ამ წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით.
7. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებულ პროგრამასთან თავსებადი, მომიჯნავე/მსგავსი პროგრამა, უნივერსიტეტი ვალდებულია აღნიშნული პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების შესახებ გონივრულ ვადაში აცნობოს პროფესიულ სტუდენტს, რათა მან შეძლოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა.
8. უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამის გაუქმების შემთხვევაში თუ იგივე პროფესიული პროგრამა არ ხორციელდება სხვა დაწესებულებაში, უნივერსიტეტი ვალდებულია არსებულ პროფესიულ სტუდენტებს პროგრამა დაასრულებინოს მილევად რეჟიმში, თუკი აღნიშნული ქმედება არ ეწინააღმდეგება კანონს. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

მუხლი 7. სწავლის ხანგრძლივობა

1. სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად.
2. პროფესიულ სტუდენტს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, უფლება აქვს გააგრძელოს პროფესიული სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სტანდარტული სწავლის ხანგრძლივობის ვადა.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხანგრძლივობას, დაწყებისა და დამთავრების თარიღებს ადგენს უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც განისაზღვრება პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმით.

მუხლი 8. პროფესიული დიპლომი

1. პროფესიული სტუდენტი, რომელიც წარმატებით დაძლევს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, იღებს უნივერსიტეტის პროფესიულ დიპლომს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმით. პროფესიული დიპლომი გაიცემა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ. პროფესიულ დიპლომთან ერთად კურსდამთავრებული იღებს დიპლომის დანართს.
2. დიპლომის დაკარგვის შემთხვევაში გაიცემა დიპლომის დუბლიკატი. ამ შემთხვევაში დაკარგვის ფაქტი უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტაციით.

8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე წესისა და უნივერსიტეტის სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით.
2. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს პროგრამის დაშვების წინაპირობებს, რომელთა დაცვის შედეგად პირი მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუს.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად დაინტერესებული პირი ვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:
   - 3.1. განცხადება;
   - 3.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი, არასწრულწლოვნების შემთხვევაში დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (კანონიერი წარმომადგენლის მიერ განაცხადის შემოტანის შემთხვევაში დამატებით კანონიერი წარმომადგენლის პირადობისა და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი);
   - 3.3. შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიალურად დამოწმებული ქსეროასლი;
   - 3.4. ორი ცალი ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4;
   - 3.5. განათლების აღიარების დოკუმენტი იმ პირთათვის, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების ან საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.
   - 3.6. 17-27 წლის ვაჟებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შესაძლოა დადგინდეს ტესტირება ან/და გასაუბრება.

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
   - 1.1. ხანგრძლივი ავადმყოფობა;
   - 1.2. უცხო ქვეყანაში სწავლა;
   - 1.3. სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;
   - 1.4. პროფესიული სტუდენტის მიერ უნივერსიტეტთან კავშირის გაწყვეტა, შესაბამისი მიზეზების დადგენამდე;
   - 1.5. საკუთარი წერილობითი განცხადება;
   - 1.6. სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, განაჩენის გამოტანამდე;

1.7. უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში;

1.8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს თუ სასწავლო კომპონენტის სულ მცირე ერთ კომპონენტში არ აქვს შეფასება, ან მოდულის სარეგისტრაციო ფურცელში (Module Register) არ უფიქსირდება დასწრების ჩანაწერები აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია, თუ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს მისთვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი;

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა მისთვის სტატუსის შეჩერებამდე;

4. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია, თუკი აღმოფხვრილი იქნება ის გარემოებები, რაც გახდა სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

მუხლი 11. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

1.1. შესაბამისი საფეხურის პროგრამის დასრულება;

1.2. პირადი განცხადება;

1.3. კანონიერ ძალაში შესული განაჩენი დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს 3 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას;

1.4. უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტების უხეში დარღვევა;

1.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადის გასვლა;

1.6. გარდაცვალება.

2. უნივერსიტეტი ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს აღნიშნულის შესახებ პროფესიულ სტუდენტს შეატყობინოს წერილობით.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს უნივერსიტეტსა და პროფესიული სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

9. განათლების აღიარების წესი

მუხლი 12. მობილობა და მიღებული განათლების აღიარება

1. როგორც შიდა ასევე გარე მობილობის ვადებისა და პირობების შესახებ გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც ეყრდნობა ამ წესის მოთხოვნებს. მათ შორის ითვალისწინებს კონკურსის პირობებს იმ შემთხვევისთვის როდესაც მობილობის მსურველთა რაოდენობა აჭარბებს გამოცხადებულ ვაკანტურ ადგილებს.
2. მობილობა ითვალისწინებს:
   2.1. უნივერსიტეტში არსებული ერთი პროფესიული პროგრამიდან მეორეზე გადასვლას;
   2.2. უნივერსიტეტიდან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ პროგრამაზე გადასვლას;
   2.3. სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან უნივერსიტეტში პროფესიულ პროგრამაზე გადმოსვლას.
3. მობილობის (სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან უნივერსიტეტში გადმოსვლა) წესით პროფესიული სტუდენტების მიღებისათვის გათვალისწინებულ ადგილებს დაწესებულება განსაზღვრავს თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის.
4. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, მობილობის უფლების მოსაპოვებლად, წარმოადგინოს რექტორის აქტით მოთხოვნილი დოკუმენტაცია ამავე აქტით დადგენილ ვადებში.
5. უნივერსიტეტი ახდენს გადმომსვლელ და უნივერსიტეტის სივრცეში ერთი პროფესიული პროგრამიდან მეორეზე გადასვლის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარებას, ახდენს პროფესიული სტუდენტის მიერ პირვანდელ დაწესებულებაში მიღებული კრედიტების შესაბამისობის დადგენას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან/მოდულებთან. პროფესიული სტუდენტის საჭიროების და თანხმობის შემთხვევაში განსაზღრავს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
6. უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს ისარგებლოს მობილობით სხვა დაწესებულებაში, რისთვისაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის წერილობითი მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდებასა და ხელშეწყობას.

მუხლი 13. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება

1. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:
   1.1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;
   1.2. მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
2. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

მუხლი 14. ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები და ვადა

1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების მიღებიდან.
2. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
   2.1. უნივერსიტეტისთვის განცხადების წარდგენა;
   2.2. კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება;
   2.3. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;
   2.4. უნივერსიტეტის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.
3. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

მუხლი 15. განცხადების წარდგენა

1. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე წარადგენს განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
   1.1. უნივერსიტეტის დასახელებას;
   1.2. განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;
   1.3. განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;
   1.4. განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;
   1.5. განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;
   1.6. მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;
   1.7. განმცხადებლის ხელმოწერას;
   1.8. განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.
2. განცხადებას უნდა ერთოდეს:
   2.1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   2.2. თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
   2.3. ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი)) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას შესაძლებელია ერთოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც

შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. უნივერსიტეტი არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის 2.3 ქვეპუქნტითა და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.

5. უნივერსიტეტი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი უნივერსიტეტს არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, უნივერსიტეტი განმცხადებელს განუსაზღვრავს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

6. უნივერსიტეტის მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

7. თუ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

მუხლი 16. კომისიის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება

1. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.

2. კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან. კომისიაში შედიან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლები. უნივერსიტეტს უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

3. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

4. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

6. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.

7. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

8. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული

აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.

მუხლი 17. გადაწყვეტილების მიღება

1. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
   1.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;
   1.2. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
2. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.
3. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.
4. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
   4.1. უნივერსიტეტის დასახელება;
   4.2. განმცხადებლის ვინაობა;
   4.3. იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;
   4.4. აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
   4.5. გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
   4.6. გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.
5. უნივერსიტეტი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 18. ფორმალური განათლების აღიარების შედეგების განთავსება

1. მართვის საინფორმაციო სისტემაში ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

10.ინტეგრირებული პროგრამების განხორციელებისა და შეფასების წესი

მუხლი 19. საფუძვლები:

1. „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი
2. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №170/ნ 2019 წლის 19 აგვისტო
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №48/ნ 2021 წლის 19 ივლისი

მუხლი 20. ინტეგრირების მიზანი

1. ინტეგრირების მიზანია საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით.

მუხლი 21. ინტეგრირების მეთოდოლოგია და ინტეგრირებული ზოგადი მოდულები

1. ინტეგრირება გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მოთხოვნების ასახვას პროგრამის იმ კომპონენტებში, რომლებიც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების ან/და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზე.

მუხლი 22. პროგრამის განხორციელების თავისებურებები

1. პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეადგენს არანაკლებ 2 წელს.
2. პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა.
3. პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

11.ინტეგრირებულ პროგრამებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი.

მუხლი 23. რეგულირების სფერო

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (შემდგომში პროგრამა), რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი (შემდგომში – წესი) ადგენს იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

მუხლი 24. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობა.
2. ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
   - 2.1. ინტეგრირებული ზოგადი მოდულები – „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულები;
   - 2.2. პროფესიული სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო (შემდგომში – პორტფოლიო) – პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს სტუდენტის მიღწევების ამსახველ მასალებს, ორგანიზებულს კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო თემების მიხედვით;
   - 2.3. კომპლექსური დავალება - შემოქმედებითი პროდუქტი, რომლის საშუალებითაც წარმოჩინდება პროფესიული სტუდენტის მიღწევები ინტეგრირებული ზოგადი მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგთან/შედეგებთან მიმართებით;
   - 2.4. თემა – ინტეგრირებული ზოგადი მოდულის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული, რომლის ფარგლებშიც, კომპლექსური დავალებების საშუალებით ხდება სწავლის ყველა შედეგზე მუშაობა;
   - 2.5. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომია – შეფასების ჰოლისტური რუბრიკა, რომლის საშუალებითაც ხდება პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება;
   - 2.6. ვერიფიკაცია – დადასტურების კომისიის მიერ ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის შესაბამისობის შემოწმება ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან.

მუხლი 25. დადასტურების მიზანი და შეფასების სისტემის მახასიათებლები

1. დადასტურება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ფორმალურ დამოწმებას.
2. ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა უნდა იყოს:
   2.1. ვალიდური;
   2.2. სანდო;
   2.3. გამჭვირვალე;
   2.4. სამართლიანი;
   2.5. ობიექტური.

მუხლი 26. ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პროგრესის შეფასებას.
2. შეფასება არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ამასთან, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში გამოიყენება არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება.
3. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევას ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგებთან მიმართებაში.
4. განმავითარებელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გამოიყენება პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის.
5. პროფესიული სტუდენტი ფასდება შეფასების ტაქსონომიის გამოყენებით თითოეული თემის კონტექსტში და სწავლის შედეგებთან მიმართებაში.
6. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი ერთსა და იმავე სწავლის შედეგთან მიმართებით რამდენიმე კომპლექსურ დავალებას ასრულებს. თითოეული თემის ფარგლებში სავალდებულოა ყველა სწავლის შედეგზე მუშაობა (კომპლექსური დავალებების საშუალებით).
7. შეფასებისას, სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალების გამოყენება. დასაშვებია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთი კომპლექსური დავალებით შეფასება.
8. კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა ეფუძნება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომიას.
9. დაწესებულება უზრუნველყოფს პორტფოლიოს სრულფასოვნად შევსებისათვის აუცილებელ აქტივობებს.
10. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასების ორგანიზებას.
11. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, კომპლექსური დავალების შეფასებიდან დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ვადაში, პორტფოლიოში ასახოს სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებები.

12. პორტფოლიოში პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. 5 წლის გასვლის შემდეგ დაარქივებული მონაცემები ავტომატურად იშლება.
13. პორტფოლიო შეიცავს შემდეგ მონაცემებს:
    13.1. პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი ან პასპორტის ნომერი;
    13.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
    13.3. ინტეგრირებული მოდულის სახელწოდება;
    13.4. თემის დასახელება;
    13.5. კომპლექსური დავალების შინაარსი და ნომერი;
    13.6. პროფესიული სტუდენტის მიერ კომლექსური დავალების შესრულების მტკიცებულება;
    13.7. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასება და მიცემული უკუკავშირი შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი 2);
    13.8. კომპლექსური დავალების მიცემის, შესრულების და პორტფოლიოში მისი განთავსების თარიღები.
14. ინტეგრირებული ზოგადი მოდული დაძლეულად ჩაითვლება, თუ ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მიღწეულია;
15. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული ყველა კომპლექსური დავალება შეფასებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და მათგან მინიმუმ ერთი შეფასებულია მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე (დანართი №1).

მუხლი 27. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება

1. პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წინაპირობაა თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევა.
2. პორტფოლიოში წარმოდგენილი სტუდენტების მიღწევების ამსახველი მტკიცებულებების განხილვის და მისი ვერიფიკაციის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისია (შემდგომში – დადასტურების კომისია) ადგენს, რამდენად მოხდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:
    2.1. პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება;
    2.2. პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა ვერ დასტურდება.
3. პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება, თუ პორტფოლიოში წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4. დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია დაწესებულების მიერ დადგენილი წესით გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 28. დადასტურების კომისია

1. დადასტურების კომისია იქმნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ბოლო ეტაპზე.
2. კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. დადასტურების კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან და გამორიცხავდეს მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.
4. დადასტურების კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.
5. დადასტურების კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
6. დადასტურების კომისიის წევრი უფლებამოსილია მისი განსხვავებული მოსაზრება წერილობით დაურთოს ოქმს.
7. დადასტურების კომისია ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოში არსებული ინსტურმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების შესწავლას და აღნიშნულის საფუძველზე პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების დადასტურების/ვერ დადასტურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.
8. დაწესებულება უზრუნველყოფს დადასტურების კომისიის მიერ პროცესის სრულფასოვანი განხორციელების ხელშეწყობას.

მუხლი 29. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების პროცესისა და შედეგის თაობაზე.

12.დანართები

დანართი 1

1: პრესტრუქტურული დონე	პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გააზრებული საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია საკითხს.
2: უნისტრუქტურული დონე	პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა.
3: მულტისტრუქტურული დონე	პროფესიულ სტუდენტს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.
4: მიმართებითი დონე	პროფესიულ სტუდენტს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეესაბამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი სტრუქტურირებულია და ამგვარად, პროფესიულ სტუდენტს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზ-შედეგობრიობის კუთხით.
5: აბსტრაქტული დონე	პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება და აღქმა სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვიდან, იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკული გაანალიზება ან თეორიის ჩამოყალიბება.

დანართი 2. სტუდენტის შეფასების ფორმა

კოლეჯი ----------

სტუდენტის შეფასების ფორმა

პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი №:	
ჯგუფის №:	
პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი:	
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:	
ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სახელწოდება და სარეგისტრაციო №:	
ინტეგრირებული ზოგადი მოდულის მიმართულების სახელწოდება (საჭიროების შემთხვევაში)	

თემის/თემატური ბლოკის/ საკითხის დასახელება:	**კომპლექსური დავალების დასახელება/იდეა**	**ცნება**	**ქვეცნება ქვესაკითხი**	(კომპლექსური დავალების) **შეფასების კრიტერიუმები**	**შეფასება** (თემის ფარგლებში)
	(ივსება განხორციელებული კომპლექსური დავალების რაოდენობის გათვალისწინებით)			• •	*სამიზნე ცნება*[1] პრესტრუქტურული დონე ☐ უნისტრუქტურული დონე ☐ მულტისტრუქტურული დონე ☐ მიმართებითი დონე ☒ აბსტრაქტული დონე ☐ *სამიზნე ცნება 2* პრესტრუქტურული დონე ☐ უნისტრუქტურული დონე ☐ მულტისტრუქტურული დონე ☐ მიმართებითი დონე ☐ აბსტრაქტული დონე ☒ *სამიზნე ცნება 3*

[1] შეფასების გრაფაში სამიზნე ცნების დასახელება და რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტულ მოდულში არსებული სამიზნე ცნებების გათვალისწინებით.

					პრესტრუქტურული დონე ☐ უნისტრუქტურული დონე ☐ მულტისტრუქტურული დონე ☒ მიმართებითი დონე ☐ აბსტრაქტული დონე ☐ *სამიზნე ცნება 4* პრესტრუქტურული დონე ☐ უნისტრუქტურული დონე ☐ მულტისტრუქტურული დონე ☒ მიმართებითი დონე ☐ აბსტრაქტული დონე ☐ *სამიზნე ცნება 5* პრესტრუქტურული დონე ☐ უნისტრუქტურული დონე ☐ მულტისტრუქტურული დონე ☐ მიმართებითი დონე ☒ აბსტრაქტული დონე ☐

პროფესიული სტუდენტის მიერ კომპლექსური დავალების შესრულების მტკიცებულება/პროდუქტი:	*(გთხოვთ, მიუთითოთ მტკიცებულებების/პროდუქტების ბმული ან საიდენტიფიკაციო №)*	
პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების დასაბუთება:	*(გთხოვთ, დაასაბუთოთ თემის ფარგლებში დამუშავებული სამიზნე ცნებების ან/და სწავლის შედეგების მიხედვით, განხორციელებული კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით)*	
პროფესიული განათლების მასწავლებლის განმავითარებელი შეფასება:	1. *სტუდენტის მიღწევების აღწერა* 2. *რჩევა სტუდენტს* 3. *მასწავლებლის თვითრეფლექსია*	
განმეორებითი შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ☐	დავალების მიცემის თარიღი:	
	დავალების შესრულების თარიღი:	

დანართი 3. კურიკულუმის ფორმა

კურიკულუმი							
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება:							
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:							
მოდული:							
პროფესიული განათლების მასწავლებელი:							
თემის განხორციელების პერიოდი	**საათების რ-ბა**	**თემა[2]**	**სწავლის შედეგი**	**ცნება/ქვეცნება**	**საკითხი/ქვესაკითხი**	**კომპლექსური დავალების იდეა[3]**	**რესურსები/კონტექსტ მაგალითი/შესადარებელი მაგალითი**
						I	
						II	
						I	
						II	

[2] თემის რაოდენობა თითოეულ ინტეგრირებულ მოდულში განსხვავებულია.

[3] თემის ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობას განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებელი.

						I	
						II	
						I	
						II	

დანართი 4.

შეფასების ინსტრუმენტის ფორმა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:	
მოდულის დასახელება (მოდულის კოდი):	
პროფესიული სტუდენტი: *(სახელი და გვარი)*	
პროფესიული მასწავლებელი: *(სახელი და გვარი)*	
შეფასების თარიღი:	
შეფასების ხანგრძლივობა:	
დავალების აღწერილობა, რომელიც უნდა შეასრულოს პროფესიულმა სტუდენტმა:	
დავალების შესასრულებლად საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი: *(აღჭურვილობა; ივენტარი;მასალა-ნედლეული)*	
შეფასების მიმართულება: *(მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე შეფასების მიმართულება)*	ა.გამოკითხვა ბ.პრაქტიკული დავალება დაკვირვებით გ.პრაქტიკული დავალება
შეფასების მტკიცებულება:	
სწავლის შედეგები დადასტურებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში თუ:	**ა. გამოკითხვა** - მოცემული X რაოდენობის დავალებიდან სწორად უპასუხებთ … დავალებას. **ბ.პრაქტიკული დავალება დაკვირვებით-** შეასრულებთ პრაქტიკულად დავალებას და მიიღებთ დადებით შეფასებას X რაოდენობის შესრულების კრიტერიუმში. **გ.პრაქტიკული დავალება** - თითოეულ შეფასების კრიტერიუმში მიიღებთ X რაოდენობის დადებით შეფასებას.
განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა:	

შეფასების გასაჩივრების პროცედურა:	
შეფასების ინსტურმენტის ვალიდატორები:	
მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგები და შესრულების კრიტერიუმები: (ჩამოწერეთ სწავლის შედეგისა და თითოეული კრიტერიუმის ნომერი, რომელიც უნდა დადასტურდეს)	**მიღწეული კრიტერიუმის დადასტურება (დიახ/არა) / მიღებული შეფასება**
ს/შ1.	
ს/შ2.	
ს/შ3.	
ს/შ4.	
ს/შ5.	

პროფესიული მასწავლებლის ხელმოწერა:
პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა:

დანართი 5.

შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ფორმა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -
მოდული /სწავლის შედეგი
პროფესიული განათლების მასწავლებელი -
ვალიდაციის თარიღი -

N	შეფასების ინსტურმენტის ტექნიკური/მეთოდოლოგიური ნაწილის ვალიდაცია	შეესაბამება	არ შეესაბამება	რეკომენდაცია არას შემთხვევაში
		დიახ	არა	განათლების სპეციალისტის კომენტარი
1.	შეფასების ინსტრუმენტზე მითითებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:			
2.	მითითებულია დასადასტურებელი მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი:			
3.	მითითებულია შეფასების მიმართულება:			
5.	მითითებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი და გვარი:			
6.	მითითებულია შეფასების ხანგრძლივობა:			
7.	მითითებულია მოდულის შესაბამისად სწავლის შედეგი/შედეგები და შესრულების კრიტერიუმები:			
8.	მითითებულია შესასრულებელი დავალების/დავალებების აღწერილობა/აღწერილობები:			
10.	აღწერილია შეფასებისთვის საჭირო გარემო და პირობები, ტექნიკური აღჭურვილობა, მასალა და ინვენტარი			
11.	მითითებულია შეფასების მტკიცებულების სახე:			
12.	მითითებულია შეფასების პროცესისთვის საჭირო აღჭურვილობა, ინვენტარი, მასალა-ნედლეული:			
13.	მითითებულია, თუ რა შემთვევაში შეფასდება შესრულებული დავალება/დავალებები დადაებითად/უარყოფითად:			
14.	მითითებულია ინფორმაცია განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ:			

15.	**მითითებულია შეფასების გასაჩივრების პროცედურა:**			
	განმავითარებელი კომენტარები(არასავალდებულო) :			

ვალიდატორი(მეთოდოლოგიური კუთხით) - სასწავლო პროცესის მენეჯერი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:
მოდული /სწავლის შედეგი:
პროფესიული განათლების მასწავლებელი:
ვალიდაციის თარიღი:

	შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ფორმა (შინაარსობრივი კუთხით)	**შეესაბამება**	**არ შეესაბამება**	**რეკომენდაცია არას შემთხვევაში**
		დიახ	**არა**	**დარგის სპეციალისტის კომენტარი**
1.	**შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ დავალებათა რაოდენობა საკმარისია სწავლის შედეგის დასადასტურებლად:**			
2.	**დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დრო საკმარისია დავალების შესასრულებლად:**			
3.	**შეფასების ინსტრუმენტში სწორად არის განსაზღვრული დადებითი შეფასების მისაღებად საჭირო ზღვარი:**			
4.	**შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ დავალებათა შინაარსი ფარავს მოდულით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებსა და შესრულების კრიტერიუმებს:**			
	განმავითარებელი კომენტარები (სურვილის შემთხვევაში):			

ვალიდატორი (შინაარსობრივი კუთხით):

დანართი 6.

ვერიფიკაციის ფორმა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ----------

მოდული/სწავლის შედეგი ----------

შემფასებელი ----------

შეფასების პერიოდი ----------

ვერიფიკატორი/ები ----------

ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი ----------

სისტემის ნაწილი	შემოწმების მიდგომა	ინდიკატორი	დიახ /არა	მტკიცებულება არას შემთხვევაში	რეკომენდაცია
ვალიდურობა	შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.				
შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა სპეციალისტების (განათლება/დარგი) მიერ	• შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი • შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.			
სანდოობა	შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.				
შეფასების მტკიცებულება	მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტების (განათლება/დარგი) მიერ	•ყველა სწავლის შედეგისათვის, თითოეული შეფასებული პირისათვის არსებობს მტკიცებულება. •მტკიცებულება ავთენტურია, ანუ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია			

		შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება. •მტკიცებულება საკმარისია, ანუ მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ დავალება ყველა კრიტერიუმს შეესაბამება. •მტკიცებულება ვალიდურია, ანუ ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო.			
გამჭვირვალეობა	შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.				
შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის ან/და შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში)	რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს			
	შეფასებული პირის ინტერვიურება, სხვა მტკიცებულება	• წინასწარი ინფორმირება ხორციელდება იმგვარად, რომ არსებობს ამისი მტკიცებულება • წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, და ფორმით რათა სტუდენტმა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება (არ უნდა მოხდეს ძალიან ადრე, რომ არ დაავიწყდეს. არ უნდა მოხდეს ყველა შეფასების პროცესის შესახებ			

		ერთდროულად, რათა ვერ განასხვავოს) • წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, რათა სტუდენტმა შეძლოს შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება • რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე პრაქტიკულად ხორციელდება			
სამართლიანობა	შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.				
შეფასების პროცესი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	• შეფასებისათვის გამოყოფილი დრო საკმარისია • შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი • შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა • შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა			
	შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება ან ჩანაწერის	• შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით			

	ნახვა (შესაძლებლობის შემთხვევაში).				
ობიექტურობა	შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.				
შეფასების პროცესი	შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა	• ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული • სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული			
ვერიფიკაციის ჯგუფის წევრები:					
ხელმოწერა:					